

მეფამსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვის დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 11—12

1883—1910 წ.

აგვისტო 31

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

სალითაკატორა განუვილება: როგორ მდგომარეობაშია ხალხის ცხოვრება რუსეთში.— უფულებო ეკლესია „შინოური საქმეები“— დელათა საყურადღებოთ. სოფლის ხუცისა.— ჭირს დამალვა არ არგებს.— ახალი ამბები და შენიშვნები.— განცხადება დეკანოზ დავით დამბაშიძისაგან.— უწყება, თუ როდის არის ლანგრის ჩამოტარება ფულების შეგროვებისათვის სხვა-და-სხვა საქველმოქმედო მიზნით.

როგორ მდგომარეობაშია ხალხის ცხოვრების მიმდინარეობა რუსეთში.

ოცდაათი წელიწადი გადის რაც პეტერბურ-
ლში გამოდის ყოველ დღე ერთი გაზეთი, რომელ-
საც ეწოდება „სასოფლო მოამბე“. ამ გაზეთთან
გამოდის დამატებები კვირეული და თვიური სურათ-
ებთანები და სხვა საკითხავები, ყველა დამატე-
ბები და თვითონ დღიური გამოცემა მეტის მეტად
საინტერესო საკითხავია. ამ გაზეთს თავისი საკუ-
თარი სტამბა აქვს და ამისათვის ძლიერ გააღვი-
ლებული აქვს გაზეთის და დამატებათა ბეჭდვა.
გაზეთს აქვს დანიშნულება სოფლის გლეხთა-
თვის და ამიტომ წელიწადში ბევრი მშვენიერი
დამატებები გამოდის ხოლმე. არის ამ დამატებებში
გლეხთათვის საჭირო საეჭვო კითხვების გან-
მარტება, აქვე არის მოთავსებული ზოგიერთი კან-
ონების განმარტებაც. ფასი ამ მოამბისა თავისი
დამატებებით არის წლიურად ორი მანეთი. მართა-
ლია, ბევრი გადის ეს გაზეთი, მაგრამ ყდ შეუძ-
ლებელია ხელის მომწერთა ფულმა დაფაროს ყვე-
ლა მოთხოვნილება ამ გაზეთის გამოცემის ხარჯებისა.
ექვი არ არის, რომ მართებლობა სუბსიდიას აძ-
ლევს ამ გაზეთის გამომცემთ. მაგრამ დასანანი არ

არის ამისთანა გაზეთის გამოცემისათვის რამდენიც
უნდა დახარჯოს. იმისთანა გამოცემებზე სუბსი-
დიის დახარჯვა, როგორც არის „СВѢТЪ“-ი, რომე-
ლიც პეტერბურლშივე გამოდის, სწორეთ სამწუხა-
როა. დღეს ჩვენ წინ არის 173 ნომერი ამ გაზე-
თისა შ აგუსტოს თარიღით. მოწინავე სტატია ამ
ნომრისა სწორეთ შესამჩნევია ყველასათვის. მოვიყ-
ვანთ აქ სიტყვა-სიტყვით მეთაურის წერილიდან
რამდენიმე ადგილს.

„სასოფლო მოამბეში, რამდენჯერმე კიდევაც
გამოგვითქვამს ჩვენ, რომ სხვადასხვა რიგის კითხვა
თა შორის მართებლობას ყურადღება აქვს მიქცე-
ული დღესვე, რომ შემწეობა აღმოუჩინოს მიწის
მოწყობის საქმეში გლეხებს, რომ მათი ქონებრი-
ვი კეთილ-მდგომარეობა გააუმჯობესოს სხვა და სხვა
სამეურნეო იარაღების შექმნით, ურომლისოთ გლე-
ხების ქონებრივის გაუმჯობესობა მოუხერხებელია.
მართებლობას სურს რომ ფართოდ განახორციე-
ლოს ეს აზრი და ამისათვის კიდევ მიეწერა ზო-
გიერთ გუბერნატორებს, სადაც მართებლობას
აქვს სახეში განახორციელოს გლეხების მდგომა-
რეობის გაუმჯობესობა. ეს გუბერნიები არიან ვორო-
ნეის, ეკატერინესლავის, ორლოვის, პენზენის,
პოლტავის, სამარის, სიმბირის, ტავრიდის, ტამბო-
ლის, ტულის, ხარკოვის და ხერსონისა. ამ გუბერ-

ნიებს შეხვდით პირველად ყურადღების მიქცევა მიტომ, რომ ეს გუბერნიები უფრო მეტად სხვაზედ მიწის მუშაობას აწარმოებენ.

ამ გუბერნიების მცხოვრებნი დიდი ხანი არ არის, რაც უმეტეს ნაწილად მიწის მესაკუთრენი შეიქმნენ და ამისათვის უმეტესად საჭიროებენ დახმარებას და უმეტეს სარგებლობას მოუტანსთ მათ ეს დახმარება“.

მეთაურის წერილს გარდა არის სტატია სახელწოდებით: „ჩვენი სახელმწიფო მცხოვრებთა ზღვირაღობა.“ „საქეიმო ნაწილი“ „სხვა და სხვა გვარ მართველობის დახმარებაში ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა დასაყმაყოფილებლად პირველი ადგილი უკავია მართებლობის ზრუნვას ხალხის ჯანმრთელობის დაცვაში, ხალხის გამოკვებას და საქონლის კირის მოსპობას, რომელნიც უსაშიშრესი მტრებია ხალხის კეთილმდგომარეობისა. ზრუნვა ამ სამი უბედურების მოსპობის შესახებ დავალებული აქვს შინაგან საქმის მინისტრს. ხალხის ჯანმრთელობის შესახებ ჩვენ გვაქვს მშვენიერად შემუშავებული ანგარიში საექიმო დეპარტამენტისაგან 1907 წლისა.

ამ ანგარიშიდან ვტყობილობთ ჩვენ, რომ 1907 წელიწადი იყო შესამჩნევი სხვა წლებთა შორის. სახელდობრ ამ წელში დაბადებულა 5,674,487 სული, უმეტესი წინა წლების ანგარიშთან შედარებით 137,547, და გარდაცვლილა 3,408,437.109,-286 ნაკლები 1906 წლისა. ამ სახით ხალხის რიცხვს მომატებია ძველი წლების ანგარიშთან შედარებით 14,3 ათას მცხოვრებზე. ამდენი მომატება არ ყოფილა 20 წლის განმავლობაში.

ხალხის გამრავლებაზე, რასაკვირველია, დიდი გავლენა აქვს მათ კეთილმდგომარეობას და რბილ აერსა, ამისათვის ეკატერინესლავის ვორონეჟის, სიმბირსკის, ტამბოვის, ტავრიდის გუბერნიებში უფრო შენდება ხალხი ვინემ პეტერბურღში, სადაც უფრო მეტი იხოცება დაბადებულთაგან, რადგან გიგიენის მხრით პეტერბურღი უფრო მეტ კულმდგომარეობაში იმყოფება ხალხი.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ხალხის გამრავლების რიცხვი იწყება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ევროპის სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი უკავია რუსეთს, რომელშიაც მცხოვრებლების გავრ-

ცელებაში რუსეთში 46,3% ათას მცხოვრებზე. ბოლგარიაში 44% ათას მცხოვრებზე. ავსტრია 34,8 პროცენტი გერმანიაში 32,2, ინგლისში 26,3, საფრანგეთში 19,7. სამწუხაროდ გარდაცვალებულთა რიცხვითაც რუსეთს პირველი ადგილი უკავია 28% ავსტრია 22,5, გერმანიას 18. საფრანგეთში გარდაცვალებულთა რიცხვი 1906 და 1907 წელში ავიდა 20 პროცენტამდე 1000 მცხოვრებზე- ორი წლის განმავლობაში სრულებით არ მოუმატნია ხალხის დაბადებულთა რიცხვს. ამავე დროს ჩვენს მეზობელს შვეციას ამ მხრით ხალხის განმრავლების რიცხვს დიდი პროცენტი ემატება. საზოგადოდ შენიშნულია, რომ ხალხის გამრავლებას დიდათ აბრკოლებს, გარდა საფრანგეთისა, ხალხის კულტურულად განვითარება. ეს ხდება, რასაკვირველია, ქორწინების დაგვიანებით, მაგრამ ამისთანა ქვეყნებში გარდაცვალებულთა რიცხვიც ნაკლებია.

რუსების უკულტურულობა მდგომარეობს იმაში, რომ სახლები არ აქვს რიგიანად მოწყობილი, საქმელი უვარგისია, გადამდები სნეულება არ იციან, უწმინდურად ცხოვრებენ, არ იციან ავთმფთფთა მოვლა, სრული უვიცობა ექიმობისა, დაუნდობლობა ექიმთადმი, დანდობა მარჩიელზე და მატყუარა ექიმობაზე ლუპავს მათ. მთელს ევროპაში ყველაზე მეტად არის ჩვენში გავრცელებული სახადი და გადამდები სნეულებანი. სასტიკი სახადი ავთმყოფობანი რუსეთში ჩნდება ასი ათას მცხოვრებში 449, ავსტრიაში იმდენივე მცხოვრებზე მოდის 169, ინგლისში— 101,4 საფრანგეთში 94,4 და სუყველაზე ნაკლები ირლანდიაში 59.

რომ ვიანგარიშით გარდაცვალებულთა რიცხვი ყველა ქალაქებისა მთელს ევროპაში დავინახამთ იმდენი არსად არ კვდება, რამდენიც რომ პეტერბურღში და მოსკოვში, მაგრამ ოდესაში კვდება ყველაზე ნაკლები, ვარშავში ასი ათას მცხოვრებზე მოდის 20,5 პარიზში 18,6 ვენაში 17,3 ბერლინში 15,6 ლონდონში 14,6 და ყველა ქალაქებზე შედარებით უფრო ნაკლები კვდება ამსტერდამში 13,3. პეტერბურღში ათას დაბადებულ ბავშვზე ერთ წლამდე კვდება 314. ვარშავში 206, ოდესაში 182, ვენაში 171, ბერლინში 163, ლონდონში 316, პარიზში 105, ამსტერდამში 89. ეს



მიეწერება იმას, რომ მთელ სხვა ქალაქებში ამსტერდამი არის სუფთაობით განთქმული. დედამიწაზე ისე სუფთად არსად არ ცხოვრობენ, როგორც გოლანდიაში.

აი ესეთია საზოგადოდ ჩვენი გაუნათლებლობის შედეგი. არ გვაქვს განათლება, არ ვიცით მოხმარება თუ რამე გავაჩნია და ამიტომ არ ვიცით ოჯახის გაუმჯობესებაც. იმისდა ნაცვლად, რომ ოფლით ნაშოვნი ფულები რიგიანად მოვიხმაროთ მხოლოდ ერთად ერთ მთვრალობაზე ველუბავთ ქონებას.

სხვა საშიშარ გადამდებ სნეულებათა შორის რის კიდევ ერთი უბედური სნეულება—ათაშანგია, რომელიც მუსრს ადენს ხალხს. გასაოცრად ვრცელდება ათაშანგეანების რიცხვი. 1904 წელში მათი რიცხვი იყო 999,000, ხოლო 1908 წელში მათი რიცხვი ავიდა ერთ მილიონ ას ოთხმოცდა ერთი ათასამდე. ხალხის უცოდინარობისა და უვიცობისა გამო ეს სნეულება მთელ სოფელს ედება, რადგან უვიცი ხალხი არ ერწმუნება ექიმებს, იმ დროს მიყავსთ საავათმყოფოში სნეული ათაშანგით, როცა მთელი სხეული გახრწნილია.

რაც ექიმების აღნუსხვით შეტყობილია ათაშანგეანების რიცხვი იმაზე ბევრათ მეტია—მეტია მილიონობით, ასე რომ ჩვენ რუსის სოფლის მცხოვრებნი მთლად ღებებიან, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მუშები იყრის თავს, ჩრდილოეთის გუბერნიებში და მთელს რუსეთშიაც.

არა ნაკლები ზარალი მოაქვს ჩვენი ხალხისთვის ჭლეჩქს. 1904 წელში აღნიშნული იყო საზოგადოდ 424,000 ქლერქიანები, 1905 წელში ეს რიცხვი ავიდა 591,000 ათასზე, თითქმის ორმოცდა ათ პროცენტზე მეტი.

ეს სნეულებაც საშიშრად ვრცელდება, განსაკუთრებით ათაშანგის ნიადაგზე, შემდეგ შთამომავლობაში. ეს სნეულებაც ძლიერ ცოტა არის შეტყობილი და, რაც შეტყობილია, იმაზე ბევრად მეტი ხალხია შეპყრობილი ამ სენით და მეტად ბევრი იტანჯება.

სნეულები ხრონიკული და მსწრაფლი ავათმყოფობით ლოთობისაგან 1904 წელში იყო 66,500

ხოლო 1905 წ. 108,700 კაცი. ხუთი წლის განმავლობაში ავა ორმოცდა ათ პროცენტამდე. ჩვენ წინეთ გამოვსტკეით რომ 16,000 შემთხვევა დამნაშაობისა არის ლოთობისა გამო, ან დროებითი სიმთვრალისა.

1898 წელში მომხდარი აღწერილობის დროს აღმოსჩნდა 124,513 შრუ და მუნჯი კაცი. ნამეტანი ნაწილი ეს კაცები გამხდარან ყრუმუნჯებად იმის გამო რომ ყელის ქირვების დროს მოვლა არ ჰქონიათ.

ამავე აღწერილობის დროს აღმოსჩნდა 247,900 კაცი ბრმა. უმეტესი ნაწილი დაბრმავებულია პატარაობისას ყვავილით, რადგან ხალხი არ ერწმუნება ყვავილის აცრას და მასთან მეტისმეტად ბინძურად ცხოვრობს.

სასიხარულოდ უკანასკნელ დროს შენიშნულია, რომ ავათმყოფთა რიცხვი საავათმყოფოებში მეტისმეტად გაერცვლდა, მცხოვრებთა რიცხვმა მოიმატა და ხალხმა შეგნება იწყოდა ზრუნვა, რომ თავი დაიფაროს საშიშარ გადამდებ სნეულებათაგან. ეს უმეტესად იმ გუბერნიებში არის შენიშნული, სადაც ერობა შემოიღეს. ერობამ ღიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს ყოველის მხრით.

ეს გაზეთი აღიარებს ერობის შემოღების საჭიროებას ყველგან, მაგრამ პურიშკევიჩებს და მის მრავალ კამპანიას ბნედა მოსდისთ ყველგან ერობის შემოღებაზე რომ მსჯელობას დაიწყებენ. „აქვე უნდა დაუმტოთ ჩვენც ერთი კითხვა—როდეს ეღირსება ჩვენ კუთხეს ერობის შემოღება. ერობის შემოღება ეღირსება ჩვენ მხარეს როდესაც სახელმწიფო სათათბიროში არ იქნებიან პურიშკევიჩები და ტიმოშკინები. ეს კი არასოდეს არ მოხდება და მაშ არც ერობა შემოვა ჩვენში... მეორე კითხვა: გაზეთები რომ გვიჩვენენ რუსეთის ხალხის კულტურის შემოღებას ჩვენში ნეტავი რომელ კულტურაზე მიგვითითებენ? თუ ეს ხდება შუაგულ რუსეთში, რაღას უნდა მოველოდოთ ჩვენ?



უფლებო ეკლესია*)

(ისტორიულ-კანონიკურა სწავლა)

„უფალო... სულსა მთავრობის მო-
ყვარებისასა ნუ მიმცემ მე“.

ეგრემ სირელი.

ჯერ კიდევ პუშკინი მოყავდა აღტაცებაში ამ სადიდმარხვო ლოცვას, რომელიც შესთხოვს უფალს „სულსა სიმდაბლისა და სიყვარულისა“ ვინაიდან მეორე ლოცვა ხმოვს: „შეგცოდეთ, ვიუსჯულოეთ, ვიუსამართლეთ“...

„Церкв. Вѣд.“-ბის უკანასკნელ ნომრებში გამოქვეყნებულია რამდენიმე საბუთი, რომლებიც ახასიათებენ ახალ ექსარხოსის შეხედულებას საქართველოს ეკლესიაზე და მის დამოკიდებულებას ამ ეკლესიის სამწყსოსა და სამღვდლოებასთან; მაგრამ მათში გამოთქმული აზრები მეტად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს. ასე რომ, ტამბოვში, როცა სემინარიელ შაგირდებს ეთხოვება, ყოვლადსამღვდლო ინოკენტი ბრძანებს, რომ მიემგზავრება „შორეულ მისთვის უცხო მხარეში“, ხოლო თბილისში ჩამოსვლისას სიონის სობოროში გრძნობიერ სიტყვაში ბრძანებს: „სიყვარულით მოვიკითხავ დედა-ღვთისას წილხდობილ ივერიის ეკლესიას... ნეტარ ვყოფ და ვადიდებ წმ. მოციქულთ ანდრია პირველწოდებულს, ბათლომეს და სიმონ კანანელს, ამ ქვეყნის მახარობლებს და წმ. მოციქულთა სწორს, ქართველთ განმანათლებელს ნინოს“. შემდეგ მოიგონებს რა „ძველი ივერიის სამეფოს თვითარსებობისათვის ბრძოლის საუკუნეებს — მისი შეუფება განაგრძობს: „განციფრების ღირსია, თუ რანაირათ დაცულ იქნა მართმადიდებელი სარწმუნოება ივერიაში ამოდენ ბრძოლასა და უბედურებაში, როგორ არ დაიბურა, არ შესუსტდა, არ განილია!.. მწყესურ გულის მოვალეობათ მიმანჩია იმ მსცხოვან ტაძრის კედელთა შორის, რომელიც მოწამეა განვლილ ღმთა და ურთიერთ ბრძოლათა, ქებით შევაპკო ქართველი ხალხი მის-

თვის, რომ მან მოციქულთა დროიდან დაწყებული შეინახა, დაიცვა უვნებლად წმიდა თესლი მართლმადიდებლობისა, გამოიტანა მამათა სარწმუნოება მძიმე ბრძოლათა გრძელ საუკუნოების განმავლობაში მთელი და შეუბღალავი“.

გეგონებთ, რომ მისმა მეუფებამ ნამდვილ კილოს (ТОНЬ) მიაგნო და მოხერხებულად შეეხო ხალხის სულის თვით გრძნობიერ სიმს. ხოლო, როდესაც იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების მორიგემა კრებამ მიულოცა მას მშვიდობით ჩამობრძანება საექსარხოსოში და გამოსთქვა სურვილი: „რომ უზენაესმა მიანიჭოს მას ძალა და მხნეობა ივერიის მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის განახლებისა და უფლებების აღდგენისაზვის“ — ექსარხოსმა გაუგზავნა კრებას ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის სახელზე შემდეგი შინაარსის ტელეგრამა: „გთხოვთ, თქვენო ყ-დ უსამღვდლოესობავ, გადასცეთ ჩემი მადლობა თქვენი ეპარქიის დებუტატთა კრებას ჩემი საექსარხოსოში შემოსვლის მოლოცვისათვის. მშვიდობიანი შრომა რუსეთის ეკლესიისგან განუყოფელათ დამორჩილებულ ივერიის ეკლესიის კეთილდღეობისათვის სამართლიანი მოპყრობა ყველა ამ ეკლესიის შვილთადმი, განურჩევლად ხალხოსნობისა ჩემი მოვალეობაა. გარნა მე სრულიად უარს ვამბობ ხელი შეუწყო ივერიის ეკლესიის რალაც მისწრაფებათა და უფლებათა აღდგენას“.

ამ ექსარხოსის პასუხში უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მუხლი, რომლებიც ისტორიულ-კანონიკურ განმარტებას თხოულობენ.

- 1) განუყოფლობა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებისა;
- 2) დამორჩილება უკანასკნელისა პირველისაგან;
- 3) სამართლიანი მოპყრობა საქართველოს სამწყსოსადმი განურჩევლათ ხალხოსნობისა;
- 4) უარის თქმა ექსარხოსისაგან, რომ ხელი შეუწყოს ივერიის ეკლესიის რალაც (ე. ი. ავტოკეფალურ) უფლებათა აღდგენას.

1 პირველ მუხლზე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროიდან, როდესაც პირველ მსოფლიო კრებაზე 325 წელს დადგინდა სიბოლო სარწმუნოებისა რომელიც მაშინვე მიიღო ივერიის ეკლესიამ, იგი დღემდე აღიარებს მართლმადიდებელ ეკლესიის „ერთობას“ სიტყვებით: „(მრწამს) ერთი წმიდა კა-

*) ამ სათაურით მოთავსებულია გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ში წერილი ვილაც ერისგანისა (Мірянинъ), რომელიც სრულიათ მოგვყავს. № 114—1910 г.

თოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, და ამ აზრით იგი აღიარებს თავის ერთობას და განუყოფელობას მთელ მსოფლიო ეკლესიასთან და მაშასადამე, რუსეთის ეკლესიასთანაც, ხოლო შეერთებისათვის და შედუღებისათვის საქართველოს ეკლესიისა რუსეთის ეკლესიასთან არასოდეს არ არსებობდა და არც არსებობს არავითარი აქტი არც საერო და არც სასულიერო მხრით წარმოშობილი. ეკლესიის შეერთებას, როგორც ცნობილია, ვერ მოახტენს არა თუ სინოდი ანუ ადგილობრივი კრება, არამედ მსოფლიო კრებაც ხსენებულ ეკლესიის მწყემსთა და სამწყსოს ნებისა და სურვილის წინააღმდეგ. ოფიციალურ აქტებში, აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ სინოდის მოხსენებაში 1811 წ. საქართველოს სამღვდლოების მართვა-გამგეობაზე, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი შესახებ საქართველოს და რუსეთის ეკლესიების „შეერთებისა“, არამედ ნათქვამია, რომ საქართველოს ეკლესიური მართველობა იქნება „სინოდის უწყებაში, რომლის ექსარხოსი ჩაირიცხება „უფროსათ“ (начальник) საქართველოს სამღვდლოებისა“ და არა ეკლესიისა. „უწყება“ და ეკლესია ორი სხვადასხვა ცნებაა. სამსახურიდან იძულებით გადაყენებულ ქათალიკოს ანტონ II კი არ აღუძრავს არავითარი შუამდგომლობა არც თავის დათხოვნის შესახებ და არც ქათალიკოსობის მოსპობისა და ექსარხოსობის შემოღების შესახებ.

რუსეთ-საბერძნეთის ეკლესია, როგორც ასეთი უქვევლია, უნდა იცავდეს საბერძნეთის ეკლესიის მართვა-გამგეობის წესრიგს, ხოლო ბიზანტიის იმპერიაში, როგორც ესლა ოსმალეთში, იყო ოიხი თვითმდგომარე (დამოუკიდებელი) საპატრიარქო და რამოდენიმე ავტოკეფალური ეკლესია. თუმცა მგვიპტე, სირია და პალესტინა სამოქალაქო და სამხედრო მხრით დამოკიდებული იყო კონსტანტინეპოლის ცენტრალურ მართებლობისაგან, მაგრამ ხსენებული პროვინციების პატრიარქები არ ყოფილან დამოკიდებული კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან. შემდეგ, ცნობილია, რომ, როცა იმპერატორმა ბასილ ბულგართ-მებრძოლმა მეთერთმეტე საუკუნეში, შემდეგ ოცი წლის ბრძოლისა, დაიპყრო ბულგარეთი, ვერ გახდა ოხრიდის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო დამოორჩილებია

კონსტანტინეპოლის პატრიარქისათვის. ასე დიდო პატივით ეპყრობოდნენ ეკლესიის უფლებებს და მის დამოუკიდებლობას ბიზანტიის ის მეფეებიც კი რომელთ ცხოვრების მიზანს შეადგენდა სხვადასხვა ქვეყნების და ხალხების დაპყრობა-დამორჩილება!

უმეტესი უნდა ითქვას საქართველოს ეკლესიაზე, რადგან საქართველო იარალით დაპყრობილი ქვეყანა არ არის. რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულობის მერვე არტიკულში დაცულია ყოველგვარი უფლება საქართველოს ეკლესიისა, ხოლო პავლე პირველის და ალექსანდრე პირველის მანიფესტებში შესახებ საქართველოს შემოერთებისა ერთი სიტყვაც არაფერია ნათქვამი შესახებ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის უფლებების შეზღუდვისა. ერთი სიტყვით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა არ ნიშნავს რუსეთ-საქართველოს ეკლესიის განყოფას სწორედ აგრეთვე, როგორც არსებობა ალექსანდრის, იერუსალიმის, ანტიოქიის და კვიპროსის ეკლესიებისა არ არღვევს მართმადიდებელ ეკლესიის ერთობას. წინააღმდეგ, საქართველოს ეკლესია ყოველთვის მხარს უჭერდა მართლმადიდებელ ეკლესიების ერთობასა და თვითმდგომარეობას (დამოუკიდებლობას): მაგალ., როცა 1439 წელს ფლორენტინის კრებაზე რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი მოსკოვის მიტროპოლიტი ისიდორე შეუერთდა უნიას (შემდეგ მან მიიღო კათალიკობა და კანრდინალობის ხარისხით გარდაიცვალა რომში და დამარხულია წმ. პეტრეს საკრებულო ტაძარში,) საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა მიტროპოლიტმა გრიგორიმ პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ და დასტოვა კრება.

2. მეორე მუხლი ექსარხოსის პასუხისა ამბობს, რომ საქართველოს ეკლესია „ხელქვეშეთია“ (დამორჩილებულია) რუსეთის ეკლესიისა. აქ კიდევ არეულია „ეკლესია“ და „უწყება“- საქართველოს ეკლესიას, რომელიც დაარსდა მეოთხე საუკუნეში, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიო და ადგილობრივ კრებებზე, რომელმაც შეიმუშავა თავის ჩვეულებანი, გადმოცემანი და საკრებულო დადგენილებანი, რომელმაც შეადგინა განსაკუთრებული სამღვთო მსახურებანი და დღესასწაულნი მოსახსენებლად თვისთა წმინდანთა, მოწამეთა, პატივცემულ ხატთა და შემთხვევათა თა-

ვის საეკლესიო-საერო ცხოვრებიდან სწორეთ 1811 წლამდის, — ასეთ ეკლესიას განა შეეძლო კანონიკურ საფუძველზე „დამორჩილებოდა“ რუსეთის ეკლესიას, რომელიც დაარსდა შვიდი მსოფლიო კრების შემდეგ და შემდეგ ეკლესიების გაყოფისა აღმოსავლეთ-დასავლეთათ და რომელმაც იმპერატორ პეტრეს დროს მიიღო საერო მართებლობის თაოსნობით სასულიერო რეგლამენტი საეკლესიო მართვა-გამგეობისა?

ოფიციალურ აქტებში არსად ერთი სიტყვა არ არის საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისადმი დახელქვეითებისა. ერთათ ერთი მიზეზი ექსარხოსის გამოგზავნისა, რომელიც ნაჩვენებია აქტებში, — საქართველოს საეკლესიო მეურნეობის არე-დარევაა უკანასკნელ კათალიკოსის ანტონ მეორის დროს.

ექსარხოსს გზავნის უწ. სინოდი, ვითომ შერყეულ საეკლესიო მეურნეობის ცნობაში და წესრიგში მოსაყვანათ. იმისი დანიშნულება, შეგვიძლია ვსთქვათ, იყო ადმინისტრაციულ-ფისკალური, ეკონომიური ან ოჯახური, რომელიც არ ეხებოდა ეკლესიის არსებას. ექსარხოსებს ძველათაც გზავნიდნენ აღმოსავლეთში დროებით, როგორც რევიზორს, კონტროლერს ან დამქვრივებულ კათედრების მოადგილეთ, მაგრამ გზავნიდნენ ისევ პატრიარქები და არა უპატრიარქო სინოდები. მეურნეობის მხრით ექსარხოსობამ ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მანვე ამყარებდენ. საეკლესიო მართვა გამგეობის არც ერთ მხარეზე არ ქონია ასი წლის ექსარხოსობის მართველობას ისეთი გამანადგურებელი და გამატიალბელი გავლენა, როგორც საეკლესიო მეურნეობაზე, რომელიც ხშირათ მძარცველობას წარმოადგენდა. ამნაირათ, მრავალ მილიონათ ღირებული საეკლესიო ქონება საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბ.), დაწყებული ექსარხოს თეოფილაქტე რუსანოვის (1818 წ.) ექსპროპრიაციიდან, რომელმაც ორივე მხრით რამოდენიმე კაცი, სასრლიერო თუ საერო, იმხვერპლა და რომელმაც აჯანყება არ მოახდინა იმერეთში მხოლოდ ა. პ. ერმოლოვის ზომიერ პოლიტიკის მეოხებით, — უმეტესი ნაწილი საეკლესიო მამულებისა შერაცხილ იქმნა სახაზინოთ, უმცირესი კი გაიყიდა სულ მუქთად: აგრეთვე 1864

წ. განთავისუფლებულ საეკლესიო გლეხების სამაგიეროთ საქართველოს ეკლესიას არავითარი სასყიდელი არ მიუღია. ამას გარდა რამოდენიმე წლის უკან სინოდის კანტორაში თბილისში აღმოჩნდა გაფლანგული ორასი ათას მანეთზე მეტი, ხოლო გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ასეთავე გაფლანგული ფული არა ნაკლები ასორმოცდა ათი ათასი მანეთისა. ასეთი ძარცვა არ ახსოვს საქართველოს ეკლესიას მთელი თავის ავტოკეფალობის ხანის განმავლობაში.

დაბოლოს, სწორეთ ახლა გამოაცხადეს საჯაროთ გაყიდვა საქართველოს სასულიერო სემინარიის შენობისა თბილისში და ემზადებიან ქართველების სასაფლაოს გაყიდვას თბილისშივე. სახაზინოთ შერაცხილ საეკლესიო მიწების ნაცვლათ წასული საუკუნის მეოცე წლებიდან საქართველოს სამღვდლოებას ეძლეოდა 75 ათასი მანეთი წლიურათ, უწ. სინოდის ამ წლის სმეტით კი უნდა მიეცეს 150 ათასი მანეთი, ე. ი. უნდა მიეცეს ერთი ორათ, მაგრამ 90 წლის განმავლობაში საეკლესიო ადგილების შემოსავალმა და ფასმა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მხოლოდ ერთი ორათ იმატა და არა ეთი ათათ?! სად მიდის დანარჩენი შემოსავალი საქართველოს საეკლესიო მამულებისა! ჯერ კიდევ 1811 წ. ექსარხოსი თეოფილაქტე თავის მოხსენებაში უწ. სინოდისადმი ყოველ წლიურ შემოსავალს მხოლოდ საეკლესიო მამულების ერთი ნაწილიდგან თბილისის გუბერნიაში 40 ათას მანეთს ანგარიშობდა. რამდენი უნდა შემოჰქონდეს ეხლა ამ მამულს? კეთილ-სინდისიერი და მიუდგომელი რევიზია (რა თქმა უნდა არა სინოდის ჩინოვნიკებისა) საქართველოს ეკლესიის სამეურნეო გამგეობისა ექსარხოსების დროს შემადრწუნებელ ამბებს გამოააშკარავებდა! ერთი სიტყვით, რადგან აღმოჩნდა რომ საქართველოს ექსარხოსების დანიშნულება (მისისა) ასი წლის განმავლობაში (სრულიად საკმარისი დროა გამოცდილების შესაძენათ) არც ერთი მხრით ხელსაყრელი არ შეიქნა: არც მეურნეობის, არც სარწმუნეობის, არც პოლიტიკურის, არც გამარჯვებელი მხრით, — მაშ რაღა ანგარიშია სახელმწიფოსა, ხალხისა ანუ ეკლესიისათვის შეინახონ ეს მართვა-გამგეობის ინსტიტუტი, რომელიც ამასთან ძლიერ ძვირათაც ჯდება?



სახარების სიტყვითაც ხომ სჭირან და ცეცხლ-
 ლზე ადგენ ხეს, რომელიც ნაყოფს არ იძლევა...
 მართალია, ბევრმა მებრძოლ სამღვდელთაგანმა,
 როგორც მ. ვოსტოგოვი, საექსარხოსოში სამსახურის
 მეოხებით გზა გაიკვლიეს დაწინაურებისა
 და ამბღღებისადმი. 15 ექსარხოსიდან სწორეთ
 არა ნაკლებ ნახევრისამ მიიღო მიტროპოლიტობა
 და კათედრები სატახტო ქალაქებში, მაგრამ საკათა-
 ლიკოზო ივერიის ეკლესიის უწ. სინოდის საექსა-
 რხოსოთ გარდაქმნამ დიდათ დააზიანა რუსეთის
 ეკლესიის ავტორიტეტი სამართლმადიდებლო აღმო-
 სავლეთის თვალში (ბერძნებისა და სლოვენებისა).
 ასე რომ ცნობილი მსწავლელი კანონისტი დალ-
 მათიის არქიეპისკოპოზის ნიკოდიმოს მილაში,
 რომელსაც ეხლა ბოსნია-გერცოგოვინის პატრიარ-
 ქად ასახელებენ, თავის თხზულებაში православное
 Церковное право (რომლის თარგმანი რუსულზე-
 დაც იმექონება), შემდეგ ალექსანდრიის, კვიპრის,
 ახალ-იუსტინეს და ივერიის ეკლესიების დასახელე-
 ბისა, ამბობს, რომ ეს ორი უკანასკნელი ეკლესია
 განადგურდა და ფაქტიურათ მოიხსნა: პირველი—
 ველურ ავართაგან მემშვიდე საუკუნოებში, ხოლო
 უკანასკნელს ეწია იგივე ბედი უფრო გვიან
 (1811).

3. სანამ საქართველოს ეკლესიის საქმეების გამგე-
 ბელი ექსარხოსი იქნება (სულ ერთია, ვინც იქნე-
 ბა იგი ქართველი, რუსი, თუ ბერძენი), გამოგზა-
 ვნილი და აღჭურვილი ინსტრუქციებით რუსის
 ეკლესიის სინოდისაგან, —რაც აკრძალულია კანო-
 ნებით,—მანამდის საქართველოს ექსარხოსს არ
 შეუძლია „დაიცვას სამართიანი დამოკიდებულება
 ამ ეკლესიის ყველა შვილებთან განურჩევლათ
 ეროვნებისა“. აი რამოდენიმე მაგალითიც: ბოდბის
 მონასტერი წმ. ნინო ქართველთ განმანათლებლის
 სასაფლაოთი არ იმყოფება საქართველოს სამღვდე-
 ლოების უფლებებაში, სულ ერთია, კიევის წმ. ვლად-
 დიმერის საკრებულო ტაძარი რომ ბერძნებმა ან
 ქართველებმა დაიჭირონ, რადგან ისინიც ხომ მარ-
 თლმადიდებლები არიან, როგორც რუსები; შემ-
 დეგ, სიონის საკრებულო ტაძარი თბილისში მ.
 ვოსტორგოვის პროექტით, რომელიც მან კრების
 წინასწარ კომისიაში წარადგინა, უნდა ჩამოერ-
 თვას ქართველ სამღვდლოებას და გადაეცეს რუ-

სისას. ცოტა ჯავრი და მწუხარება არ მიუყენებია
 განსვენებულ ექსარხოსის ნიკონისათვის ამ დაუჯე-
 რებელ ამბავს, რომელსაც გულმოდგინეთ ავრცე-
 ლებენ ზეპირათ, თუ წერილობით ადგილობრივ
 მკვიდრთა შორის მ. ვოსტორგოვის დამქაშები.
 მ. ვოსტორგოვს აინუნშიაც არ მოსვლია, თუ სი-
 ონის საკრებულო ტაძარი საქართველოს უძველესი
 სიწმინდეა, რომ მისი საძირკველი გაიფსკვნა
 ქალაქ თფილისის საძირკველთან ერთათ მეზუთე
 საუკუნეში. ამ დროს უკვე ქართველები სხვა ეკ-
 ლესიების წარმომადგენლებთან ერთად მსოფლიო
 და ადგილობრივ კრებებზე იღვწოდენ მართლმად-
 დიდებელ დოღმატიკის, კანონიკურ უფლებების
 და საეკლესიო წყობილების შესამუშავებლად, რო-
 მელთა ძალით მ. ვოსტორგოვს არც თავის „მღვდლო-
 ბის“ ღირსებით, არც განათლების ცენზით, რო-
 გორც „სემინარიელს“, არ შეფერის განაგებდეს
 საპატრიარქო ეკლესიების და ოლქების ბედ-ილ-
 ბალს. შემდეგ, სამართლმადიდებლო სემინარია თფი-
 ლისში და სასულიერო სასწავლებლები მთელ მხა-
 რეში, რომლებიც ამზადებენ სამღვდლოებას
 ადგილობრივ მკვიდრთათვის, არაფრით არ განირ-
 ჩევან დანარჩენ რუსის სემინარიებისა და სასული-
 ერო სასწავლებლისაგან, რადგან ყველა საგნებს,
 რაც დადებულია პროგრამით საექსარხოსოს სასუ-
 ლიერო სამოსწავლო დაწესებულებაში, ასწავლიან
 რუსულათ. იმის თქმა, რომ სამშობლო ენა მოწა-
 ფეებს უმისოთაც ესმისთა—სულ ერთია, რომ
 რუსის სკოლებში შემოღებულ იქნას სწავლება სა-
 გნებისა ბერძნულ ენაზე, რადგან რუსული დედა-
 ენა უკვე ცნობილია მოწაფეთათვის. ასეთ სოფიზ-
 მებზე ბევრი რამაა დამყარებული საექსარხოსოში.
 როცა თბილისის სემინარიის შეგირდები ინახულა
 ექსარხოსმა ინოკენტიმ, დაარიგა, რომ „მოემზადონ
 ღვთის სიტყვის საქადაგებლად ძველი ივერიის
 სამეფოს მხარეებში“—მაგრამ როგორ უნდა იქა-
 დაგონ სიტყვა ღვთისა, როდესაც ბევრი მათგანი
 ვერ კითხულობს საეკლესიო წერილსაც კი (ხუ-
 ცურს), ისე როგორც რუსმა მღვდელმა ვერ გაარ-
 ჩიოს საეკლესიო სლოვენური წერილი!

მართალია, რომ მ. ვოსტორგოვი იღვწო-
 და მისიონერის სახელით 11 წელიწადი და 11 სი-
 ტყვაც არ ცოდნია ადგილობრივ ენებიდან; მაგრამ
 მან გამოიტანა მწარე დარწმუნება, რომ მსმენელებ-

მა ვერ შესძლეს დაფასება ამ ახლათ მოვლენილ ოქროპირის მკვერმეტყველებისა...

ბოლოს, კრების წინასწარ კომისიაში, როგორც სჩანს პროტოკოლებიდან, გამოიკვა, რომ მაგალითად, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში, რომელიც აგებულია 12 მოციქულის და ცხოველ მყოფელის სვეტის სახელობაზე, საყდრის დღესასწაულზე 1 ოქტომბერს ექსარხოლმა შესრულა მსახურება ყოველად წმიდა ღვთის მშობლის მფარველობის ხატის წინ, რომლის გულისათვის წინდაწინვე აღებინა ადგილობრივი ხატი, ე. ი. იდღესასწაულა ნამდვილი რუსის დღესასწაული, შემოდებული მეფე ივანე მრისხანისაგან კახანის დაპყრობის სახსოვრათ, რომელი დღესასწაულიც არ იცის არც საქართველოს და არც საბერძნეთის ეკლესიამ. სხვაფრივ ვერც მოიქცეოდნენ ექსარხოლები, ძალიანაც რომ მოენდომებიათ; რადგან მათ არ იციან ქართული ენა, ვერც შესრულდნენ ისეთ მსახურებას, რომელიც მოიპოვება მხოლოდ ქართულ ენაზე, შემოდებულია უქველეს დროიდან და დაკანონებულია მეთორმეტე საუკუნეში. აი რამოდენიმე მაგალითი მისი. რომ, სანამ საეკლესიო მართვა-გამგეობა საქართველოში სინოდის გამოგზავნილ და მისგან ბოძებულ ინსტრუქციებით აღკუთრებულ ექსარხოლის ხელში იქნება, „სამართლიანი მოპყრობა ივერიის ეკლესიის ყველა შვილთა განურჩევლათ ხალხოსნობისა“ არ მოხერხდება. ასეთი მდგომარეობის შეცვლა კი არ არის დამოკიდებული ექსარხოლის პირად თვისებაზე.

1) არაფრათ ჩამგდები (пренебрежительный) პასუხი ექსარხოლისა „ივერიის ეკლესიის რაღაც უფლებების შესახებ“ სრულებით ეწინააღმდეგება ამ ეკლესიის ქეშმარიტ მოციქულებრივ წარსულის იმ კეთილკრძალულებით მოპყრობას, რომელზედაც თვთ ექსარხოლმა ინოკენტიმ არა ერთხელ აუწყა მსმენელებს. ეს უფლებები სწოვადოთ ცნობილია და აგერ რამდენიმე წელიწადია უმაღლეს ბრძანებისამებრ მათზე მსჯელობენ, მათ ირკვევენ. ასეთი შეუცთომელი ავტორიტეტებიც კი, როგორიც არიან მ. ვოსტორგოვი და „Церк. Вѣд.“-ის რედაქტორი ოსტროუმოვი, არ უარყოფენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებს, მხოლოდ პირველი მათგანი მ. ვოსტორგოვი, აღ-

ნიშნავს პრაქტიკულ უხერხულობას, რომელიც შესაძლებელია შეგვხვდეს მათ (უფლებების) განხორციელების დროს, და საქართველოს სამღვდლოების მოუშაადგლობას ასეთ დიდ რეფორმის მისაღებათ, ვითომ ქართველები ზულუსები ან პაპუსები იყვნენ, რომელთა შორის ევროპიელი მისიონერები პირველათ სთესავდნენ ქრისტიანობის და კულტურის ანბანას, და არა კულტურულ-ისტორიული ხალხი, რომელმაც მშვიდობიანათ გააცურვა თავის ეკლესიური ხომალდი არაბების, მონგოლების, სპარსელების, ოსმალების და სხვა ბევრის მძვინვარებით მღელვარე ტალღებთა შორის. ძალიან ცუდი აზრის ყოფილა მ. ვოსტორგოვი რუსულ სასუსულიერო სასწავლებლებზე, სადაც ქართველი სამღვდლოება ღებულობს თავის განათლებას! მეორე ოპონენტი, ბ. ოსტროუმოვი კი აცხადებს, რომ „ბრძანებითი (sic) საჭიროება არ არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენისათვის“, ვითომ იგი არა თუ ხარკოვში და პეტერბურგში, არამედ თბილისში და ქუთაისში სჯდა მთელი წელიწადები და ადგილობ ეცნობოდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, საჭიროებას და მოთხოვნილებას მისი სამწყსოსას.

ერთი სიტყვით, ახალი ექსარხოლი ისეთს ვერაფერს მოიმოქმედებს ხალხში სარწმუნოების განსამტკიცებლად და საეკლესიო მართვა-გამგეობის მეხანიზმის გასასწორებლათ საქსარხოლოში, რაც მის წინამოადგილებს არ გამოეცადოს 100 წლის განმავლობაში. როცა მთელი შენობა „ქვიშაზე“ სდგას, არ კმარა არშიების შეკეთება და სახურავის შელამაზება. საძირკველი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა 1811 წელში ჩაყრილი ან გადაკეთებულია ყოველი მხრივ უკანონოთ და არა მყარათ, ამიტომაც მთელი საეკლესიო შენობა გადინხარა და მზათ არის დაიქცეს...

ჩვენ დავასრულებთ ამ წერილს მითვე, რითაც დავიწყეთ: ზემოხსენებულ შეხედულებათა მსგავს შეხედულების კარნახობა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის უფლებობაზე შეუძლია მხოლოდ „სულსა მთავრობისმოყვარეობისა“, რისგანაც ჯერ კიდევ მსოფლიო კრებები აფრთხილებდნენ მთავართა ეკლესიისათა. ასე, მაგ., როცა ანტიოქიის პატრიარქმა, მიმძლავრების უფლებით, მოინდომა დამოორჩილება თავის ხელმწიფების



ქვეშე კვირის ეკლესია, მესამე მსოფლიო კრებამ იცნო მისი ასეთი მიჩენება ეკლესიის კანონებისა და ჩვეულებათა წინააღმდეგათ და სახელმძღვანელო მომავალ თაობისა ასეთი (განკარგულება) დადგენილება მოახდინა: „დიდსა და უწმიდეს კრებას სურს, რომ ყველა ეპარქიამ შეინახოს (შეინარჩუნოს) წმიდათ და შეუზღუდავთ ის უფლებები, რომლებიც მას პირველითგანვე ჰქონია ძველი ჩვეულებისამებრ... რომ არავინ ღვთისმოყვარე ეპისკოპოსთაგანმა არ განავრცელოს თვისი ხელმწიფება სხვა ეპარქიაზე, რომელიც თავიდანვე არ ყოფილა მისი ან მის წინამოადგილის ხელქვეითი; ხოლო თუ ვინმე ძალდატანებით რომელიმე ეპარქია დაიხელქვეითა, უკანვე დაუბრუნოს იგი, რომ არ დაირღვეს მამათა კანონები და არ შემოიპაროს, მღვდელ მსახურების სახით, ზვაობა საერო ხელმწიფებისა“.*)



დედათა საყურადღებოთ.

როდესაც გაჩნდება საზოგადოებაში ყელის ტკივილი დიფტერიით, ყველაზე უმეტესად შეშფოთდებიან დედანი და ყოველ კაცს შესჩივიან მართებლობის პირების დაუდევრელობაზე, რომ იგინი ყურადღებას არ აქცევენ და არ იღებენ სხვა-და-სხვა ზომებს სწეულების მოსარიდებლად. დედამებს ძილი აღარ მოსდით, რომ ბავშვები არ გაუხდეთ ავით. როცა გაჩნდება საყარი ხურვება, ამ დროსაც დიდი შეშფოთება ემჩნევა საზოგადოებას. თუ გაჩნდა ხოლერა, მაშინ ყველა თავზარ დაცემულნი არაფერს არ ზოგავენ, რომ ამ საშიშარი სენის წინააღმდეგ დიდი შრომა მიიღონ. არა ვითარ ხარჯს არ ერიდებიან, რომ ეს საშიშარი სენი მოიშორონ თავიდან. წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ღარიბი და ლატაკი ქალაქები ვექსილით სე-

სხულობენ ფულს და ძლიერ სიბინძურეს იშორებენ (თუ გინდ, რომ სიბინძურე მოსაშორებელი იყოს მარტო ხოლერობაზე)! თუ ჟამი გაჩნდა სადმე მაშინ დედამები თავიანთი შვილებით გადაკარგვას აპირებენ და საზოგადოდ ყველანი შეშფოთებულნი არიან. ამ დროს არა მარტო დედამა, არამედ მთელი სახელმწიფო შეიძრება და ჟამის მოსარიდებლად აღარაფერს არ ზოგავენ, არა მარტო ხაზინის ფულებს, არამედ თავის საკუთრებასაც. მაგრამ არის ერთ გვარი სენი, რომელიც პატარა ბავშვებს დაემართება ხოლმე, რომელი სენიც ჟამზე და ხოლერაზე უარესი საშიშარია, მაგრამ ამ სენის გავრცელებას არც მართებლობა და არც დედამა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ეს სენი ბევრად უარესია ხოლერაზე და ჟამზე და უმეტესად საშიშარი არის ამ სენის შედეგი როგორც დედამისათვის, ისე საზოგადოებისა და მთელი ხალხისათვის.

დედამები გიჟდებიან, როდესაც შეიტყობენ, რომ მათზე ახლოს გახდა ვინმე ყელის ტკივილით, ხურებით და სხვა რამ სახადით. დღე და ღამე სულ თავის პატარა ბავშვზე ფიქრობს, ფიქრობს რომ როგორმე მოაშოროს თავის პატარა ბავში ამ სენს. მაგრამ სრულებით ყურადღებას არ აქცევენ რომ მისი პატარა შვილი საზიზღარ ხასიათს და მოქმედებას იჩენს. როდესაც ბავშვი აშკარად გამოიჩენს თვითნებობას და მბრძანებლობას და თუ დედამ არ აუსრულა რაიმე სულელური მოთხოვნილება, მორთავს ერთ უშველვებელ ღრიალს და ტირილს. ამ დროს დედამ აღარ იცის, რით დააყმაყოფილოს „ქირეული“ ბავშვი და მოფერებით და საჩუქრებით აოკებს და ძლიერსასიამოვნოდ რჩება, რომ მისი ანჩხლი ბავშვი დააწყნარა და გააჩუმა. მიეფერებით ზოგიერთი სუსტიხასიათის და შვილის მოსიყვარულე დედა პატარა ბავშვს ეუბნება: მე ვარ შვილო დამნაშავე და დამსაჯე. ამ დროს მიუშვერს ლოყას ან თავს და ეუბნება: დამკარი შვილო, დამკარი, ჯოხს თვითონ აძლევს ხელში! ბავშვი თან-და-თან ეჩვევა განებივრებას და გათავისნებლობას და უარესად აბღრილდება, თუ მისი ნება არ აღასრულეს. რომ ჩამოვთვალოთ ყველა ის, საქციელი და მოქმედება მშობელთა, რომელთა წყალობით მათი შვილები სამუდამოდ ფუჭდებიან, როგორც მშობელთათვის ისე საზოგადოებისთვის

*) ყველა მოსაზრებაში არ ვეთანხმებით ავტორს ჩვენს აზრს შემდეგ დროში გამოვთქვამთ.

რედაქტორი.

კაცი გაოცდები და შენ თავს ეკითხები. რათ გიყ-
დებიან მშობლები თავიანთ შვილებისათვის სხვა-და-
სხვა გადამდებ სნეულებათაგან, როდესაც თავისი
უვიცობით და ცუდი მოქცევით სამუდამოდ აფუ-
ჭებენ მათ?

დღევანდელ დროს მაინც ბევრს ლაპარაკობენ
თავისუფლებაზე და თავისუფლად ბავშვების აღზრ-
დაზე. ზოგიერთი დედამა მაინც დარწმუნებულია,
რომ თუ მათი პატარა ბავშვი თავის ნებობას და
განებივრებას მიეჩვია, ეს სასარგებლოდ მიაჩნია.
ძველი თაობა კი სულ სხვაფერ ზრდიდა შვილებს.
დღეს ახალ მოდით აღზრდილი შვილები ძლიერ
სამწუხარო საქციელს იჩენენ. ზოგიერთი დედები
სწუხბრან და არ იციან, რა უყონ თავიანთ რვა და
ათი წლის ბავშვებს, რომელნიც სრულებით არა-
ფერს არ უჯეროთ თავიანთ მშობლებს და სიტყვა
პასუხის დროს მეტის მეტად უზრდელათ ექცევიან.

ხშირათ მესმის ზოგიერთი გულ დათუთქული
დედებისაგან: რატომ არ გამიწყალდი შვილო,
შენს დაბადებას ლეკვი რომ დაბადებულიყო ის
არ ჯობდა? შე სასიკვდილო, რატომ ხარ ეგეთი
საძაგელი ხასიათის, შხამათ გექცეს ჩემი რძე, ეგრე
უნდა დედას პატივის ცემა? ამისთანა წყეული ბავ-
ში განა შეიძლება კიდევ სადმე იყოს“?..

ამისთანა გამწარებულ დედებს ხშირად ანუ-
გეშებენ სხვა დედები, და ეტყვიან ხოლმე;

—რა იცის დედა, პატარა ბავშმა დედამის
პატივის ცემა? გაიზრდება და დაქუანდება და
თუ კიდევ გაყვება ეგეთი ხასიათი ცოლი შერთე
და დაბრძენდება.

ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ჩვენში ქალი-
შვილები ამერიკანულად იზრდებოდნენ, ისე რომ
რაც უნდა გაფუჭებული ზნისა და საქციელის კა-
ცი იყოს, გვირგვინის კურთხევის შემდეგ დაბრძენ-
დება და ანგელოზი შეიქნება!.. იმას კი არ ფიქ-
რობენ, რომ დღეს ორივე სქესის მოზარდი თა-
ობა ერთად კოკლობენ ხასიათით და ზნე ჩვეულებ-
ით. დიახ, დღეს ბევრ ადგილას სავსებით იგემე-
ბენ დედები იმ თესლისაგან, რაც დასთესეს თავის
ნორჩ პატარა შვილებზე თავისი უვიცობით და
უცოდინარობით. მაგრამ ან კი სად შეისწავლიდენ
რიგიანად შვილების აღზრდის საქმეს? ამაზედ ხომ

კრინტს არ დასძვრენ გიმნაზიებში და ინსტიტუტებში?
იქ ხომ ზედმიწევნით აქვსთ შესწავლილი თამაშო-
ბის და ცეკვა-ხტუნვის წესები, თორემ ოჯახობის
და შვილების აღზრდის შესახებ განა შეიძლება!?
ასწავლონ რამე შვილების აღზრდა-მოვლაზე სწავ-
ლა ზნეობითი მხრით მავნებლად მიაჩნიათ...

სოფლის ხუცესი.

~~~~~~  
ზირს დამალვა არ არზმს

ვგონებ, საწყენიც კი აღარავისთვის უნდა  
იყოს იმ ქეშმარიტების აღიარება, რომ ქართველი  
სამღვდელოება თავის დანიშნულებას და მოვალე-  
ობას დიდი ხანია აღარ ასრულებს წესიერად წინა-  
შე ღვთისა და ერისა... ეს, რასაკვირველია, შე-  
დგება გარემოების... მაგრამ გარემოების შემოქ-  
მედიც რომ თვით წრე, საზოგადოება და პიროვნე-  
ბაც კია, ამასაც ნუ დავივიწყებთ.

დიდიხანია გამოვიტირეთ დაკარგვა ეკლესიურ  
თვით-მოქმედების უნარისა... გათახსირება და მი-  
ვიწყება უმდიდრეს სასულიერო ნაშრომ-ნაწარმოე-  
ბის.. დაკარგვა უძვირფასეს ეკლესიურ ავლა-დი-  
დების,.. დაკარგვა ეროვნულ ნიადაგისა ქადაგება-  
ში, წირვა-ლოცვაში!..

მაგრამ იმ ზომამდის მიღწევა თავის ქნევაში  
და „ბალი აღას“ ძახილში ჩვენი სამღვდელოება  
არა დროს არ მისულა, როგორც უკანასკნელ ხა-  
ნებში... აღარც თაკილი, აღარც სინიდისის ქეჯნა:  
„ძლიერის სურვილი კანონია სუსტისათვის...“  
„არ არსებობს ქართველი სამღვდელოება, არიან  
მხოლოდ სინოდის ნების აღმსრულებელნი და სხვა  
არავინ“ კრებებზედ პირდაპირ გაიძახიან მოთავე-  
ნი და თანაც უკვირთ, თუ რატომ ყველასათვის  
გასაგები არ არის ეს... იმიტომ, რაც გინდა მახი-  
ნჯი და მავნე მოსაზრება წამოაყენოს კრებაზედ  
ძალით შემოსილმა უცხოთა წრემ, ყველანი კვერს  
უკრავენ, ყველანი თავს უკვრენ..—საკუთარი მო-  
თხოვნილების წამოყენება ხომ სრულებით უარ-



ყოფილ იქმნა ამ ბოლო ხანებში... სადამდის გაგყვება ეს უკუღმართობა, სწორეთ რომ დამაფიქრებელია...

ტფილისში, სადაც კი ზოგჯერ მაინც გაისმოდა ხოლმე ქართული წირვა, ან გალობა, დღეს მთლად სლავურად შეცვალეს... რუსულ გალობის გუნდი ყველგან მწყობრად გაჰკვირან—ქართული გალობა კი ყველგან მოისპო. მიცვალებულზედ ფულით ველარ გვიშოვია მგალობელთა გუნდი და თუ შემთხვევით რამდენსამე „მგალობელს“ მოჰკრებს ვინმე, მათი ყვირილი სლავურს გაგონებს და არა ქართულს... არის საეკლესიო ხორო, რომელიც „ისაია მხიარულს“, „ნესტაფონო მშვიდობითის“ ხმაზედ მღერის და დამშლელი არავინ ჰყავს...

ტფილისში სამიოდ ეკლესია თუ მისდევს ქართულ ტიბიკონს, მაგრამ რას იზამთ. როდესაც „ხოროს“ ვერ შოულობს და დიაკვნების გაუგებარ, კითხვა-გალობა მოძღვართ ბევრჯელ სირცხვილის ოფლსა და სიწითლეში აგდებს... ამ დღეებში მღ. ვასილ კარბელაშვილმა გამოაცხადა სურვალი ძველ სემინარიის შენობაში გალობის უფასო სწავლებისა, საეკლესიო კრებულთ მიჰმართა გაზეთებითაც, წერილებითაც, მაგრამ 7 კაცი ძლივს შეიკრება, მეტი არავინ მისულა...

ანჩის-ხატის დეკანოზი მ. ზუმბულიძე თვეში 25 მან. იძლეოდა და ქართული ხორო ვერ იშოვა, როდესაც 15 მან. და 20 მანეთად 30 კაცისაგან შემდგარ რუსულ ხოროს ყოველთვის იშოვი სადღა მგალობელთა გუნდი ჩხიკვაძის, მონადირაშვილის, აღნიაშვილის?—დაიშალნენ, რადგან ეკლესიის წინამძღვართ ხელი არ შეუწყეს და რუსული „ხოროები“ გაიჩაღეს. საწყალმა პლატონ იოსელიანმა უკანასკნელი გროში მოიფლო, პალესტინიდან ბეთლემის ეკლესიის გეგმა მოიტანა, სოლოლაკის ამბოღების ეკლესია იმ გეგმაზედ ააშენა, დღეს კი შიგ ქართველი მღვდელი სლავურად სწირავს და 30 სალდათისაგან შემდგარ ხოროს აგუგუნებს სლავურად. ავლაბრის პეტრეპაულის ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვა სრულდებათ მოისპო, სამუდამო რუსული ხორო დაწესდა, მრევლი კი ორი წილი ქართველია, ერთი რუსი, მთავარ ანგელოზის ეკლესია ურუსულზედ

რუსული ეკლესიაა—ქართული იქ გამოდევნილია 100 კომლი ქართველი კი მაინც მრევლად უჭირავს... ეკლესიურმა უკუღმართობამ ქართველს ისე გაუტეხა გული, რომ იგი, ასეთ დიდ საქმეშიაც კი, როგორც ეკლესიის მრევლობაა, არას დაგიდევს და საბოლოოვს არა ფიქრობს...

ეპარქიულ სამღვდლო კრებაზედ ყოველთვის ჩივილისა გამო, რომ დიაკვნებმა არც ქართული კითხვა იციან და არცა ქართული გალობა, დიდხანია გადააწყვეტინა მედავითნეთა კურსების დაარსება. დარიის მონასტერთან უნდა გაეხსნათ ეს კურსები, სადაც სასალიერო სასწავლებლიდან გამოსულ პირთ შეასწავლიდნენ გაგებით ქართულ სამლო წიგნების კითხვას, გალობას და განავითარებდნენ საღვთის-მეტყმელო ცოდნაში.

რუსის და ქართველთ სამრევლო სკოლებშიაც კი სლავურს იმდენად ასწავლიან, რომ უხსნიან საღმრთო წიგნებში სახმარ ძნელ სიტყვებს, რიტომ ბალლიც კი სლავურად შეგნებით კითხულობს—ჩვენში კი დიაკვანი რას ბუტბუტებს, თითონაც არ იცის... ამ საქირო საქმის შესასარულებლად კრებანი კამისიას ავალებდნენ შეემუშავებინათ ხარჯთაღრიცხვა და პროგრამა კურსებისა... არ იქნა და არ ეღირსათ ამ წადილის შესრულება. წელს, როცა სამღვდლოების კრება დაიწყო ტფილისში, კამისიას მარტო მაშინ წარუდგენია ეს გეგმა ეგზარხოსის მოადგილესათვის, ხოლო ამ უკანასკნელს უდროოდ უცენია შემუშავებული პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა კრებისათვის გადაუცია განსახილველად...

ამბობენ, თუ მთავრობამ დანიშნა რომელიმე ქართველი მღვდელი კომისიაში, სიხარულით ცას მოეწევა და თუ კრებამ მოიბუზებაო... „ლიბერალად“ არ ჩამთვალოს მთავრობამაო...

საეპარქიო სასწავლებლის საბჭოში მხოლოდ ორი ქართველი მღვდელია წევრად, დანარჩენი რუსები და ისეთია ეს საბჭო, რომ ვოსტორგოვის დროსა ნეტარ-სახსენებლად ჰნდის. იმ დროს ქართველი სამრევლო სკოლები მრავლად არსებობდა: ხარფუხში ორი სამრევლო სკოლაა, კუკიაში წმ. ნიკოლოზის, ქვაშეთის, ვერის წმ. ნიკოლოზის, სოფლებში ხომ უფრო ბევრი სკოლები საბჭოს ხარჯზედ იხსნებოდა, ხოლო დღეს ეს სკოლები

დაკეტეს და ფული რუსის სასწავლებლებზედ გაღი-  
ტანეს. არავინ იკითხავს განა, რაიქმნა ქართლში  
ტირძნისის ორ კლასიანი სამეურნეო განყოფილე-  
ბით სამრევლო სასწავლებელი, რომელიც იმ დროს  
იყო სახელოვანი, ხოლო ახალმა საბჭოთა მოსპო და  
ფულიც არ იცინა, სად წაიღეს. ამ უკულმართობას  
ჩვენი სამღვდლოება არა თუ წინ აღუდგა, არამედ  
**თვით ვაუწყარ ხელი.** ამას უარესი მოჰყვა: ვოს-  
ტორგოვი ვერა ჰბედავდა, მის შემდეგ კი გაბედეს  
და სკოლების მეთვალყურეთ ქართული ენის უტო-  
ლინარნი და სწავლის სადმე დამთავრებასაც კი მო-  
კლებულნი პირნი ჩააყენეს... ესენი უწევენ „რე-  
ვიზიას“ ქართულ სკოლებს...

კომისიებზე ითქვა სიტყვა და ამის შემდეგ განა  
შეიძლება, რომ არ მოიხსენიოთ ორი „ისტორიის  
ღირსი“ დიადი სასულიერო წოდების კომისიანი?!  
მოგახსენებთ „მღვდელთა ხარისხის მიმცემ გამოც-  
დის კომისიაზედ და „საეკლესიო წიგნთა, არამთუ  
შემსწორებელ, მთარგმნელ მეცნიერ კომისიაზედ“

ჩვენ კურთხეულ ქვეყანას ბლომად ჰყვანდნენ  
მღვდლები „კურთხიეები“, „მკვდრის ყლაპიები“,  
მაგრამ ამათგან ქართული ეკლესიური კილო მაინც  
გესმოდათ, სიტყვა-პასუხი ღვთიური—სათნოიანი:  
დღეს კი ამ „გამოცდის“ კომისიის წყალობით ვის  
არ ვხედავთ სოფლებში მღვდლად?! ავლაბარ—  
იარმუკის სიტყვა-პასუხის მღვდლებს ქუდით მოჰ-  
ხვეტამ... ვერ დასთვლით იმათ, ვინც ხელის მო-  
წერა არ იცინა, დოკუმენტების წარმოება და ტი-  
ბიკონიც ეკლესიური კი არ აქვთ სახელმძღვანე-  
ლოდ, არამედ თავიანთებური...

სამღვთო წიგნების ბეჭდვა პირველად ვახ-  
ტანგ რჯულმდებელმა იწყო ჩვენში, თუმცა ვახტანგ  
მეფეს ხელთ ჰქონდა მრავალი ვარიანტნი ქართულ  
საღმრთო წიგნთა, მაგრამ პირველ ბიჯზედ მაინც  
შეცდომებებს ვერ ასცილდებოდნენ... მხოლოდ ეს  
შეცდომებებიც კი ვახტანგის ნაბეჭდ წიგნებში მე-  
ტად მცირეა. შემდეგ ნაბეჭდებს, როგორც ნამე-  
ტანად ჩვენში ახალს შეცდომები არა თუ თან გაჰ-  
ყვა, კიდევ მიემატა. აი ეს სიტყვა რამდენიმე ქარ-  
თველ ხელთნაწერ ძველთა მკითხველმა. ამაზედ  
უმალლესმა წრემ ვითომ და გულნატკენებით გა-  
აბა: „ქართული სამღვთო წიგნები, არა თუ შეს-  
წორებას, ახალ თარგმანსაც კი თხოულობსო“...  
ჩვენში ძველისკითხვა მეტად მცირემ იცის, „ბალი

ალა“ ძანია მღვდლებმა, რომელთაც ძველის გაგო-  
ნილი თუ აქვთ, თორემ თითონ მისი არა გაეგება-  
თრა, კვერა დაუკრეს და დაარსდა „მთარგმნელ—  
შემასწორებელი კომისია“... რას ასწორებდნენ,  
ეს არავინ უწყობდა. ეხლახან ახალმა თავმჯდომე-  
რემ ამ კომისიისა ეპისკოპოზმა დავითმა გამოსცა  
ამის შესახებ წიგნაკი. ეპისკოპოზი ვერ წაჰსვლია  
ქეშმარიტებას და პირდაპირ ამბობს, ძველი მწიგ-  
ნობრობა ჩვენში სრულია ენითაც და თარგმანი-  
თაც. ქართველ წმ. მამათა ნაწარმოებთ შესწორე-  
ბა სრულიად აღარ სჭირათო... იმიტომ უნდა  
აილონ და იქიდან გადაბეჭდონ. მაგრამ ეპისკო-  
პოზი მაინც რიდასთვის ჰოქმანობს და ბრძანებს:  
კარგი იქნება ქიდევ სლავურთან შედარება და შე-  
სწორებაო.. თანაც დასძენს: ურიგო არ იქნება,  
რომ ხუცურის მაგიერ ეს წიგნები მხედრული  
ასოებით დაიბეჭდოსო... **აი მსლა გვაკლდა!**..

მართალია, უკულმართობა ისეა ყალყზედ შე-  
ყენებული ჩვენში, რომ მარტო „ბალი აღას“ ძანაას  
შეუძლიან იმუშაოს ოფიციალურ კომისიებში..  
მაგრამ ამ გვარმა საქციელმა სადამდის უნდა გვა-  
ზარალოს...

რომ დიდებულნი თარგმანნი და ნაწარმოებნი  
ქართველ წმინ მამათა თხოულობენ მხოლოდ გა-  
დაბეჭდვას და არა შესწორებას, მერე ისიც ჩვენ  
დროს და ჩვენ ბეჩავთ მიერ—ეს უქეშმარიტესი  
სიძართლეა. ნუ თუ ისეთი ღვთისმეტყველი და  
მწიგნობარი, როგორიც ყოფილა პეტრიწი ჰირქი-  
მელი, რომელსაც პოეტურის ენით უთარგმნია  
სახარება და ისე დიდებული, რომ აზროვნების  
იოტაც არაა შებღალულ ნუ თუ იმ სასულიერო  
ლიტერატურას, რომელსაც პეტრიწები არა ერთი  
და ორი ჰყვანდა, დღეს ჩვენ დროის კალმოსანთა  
ჯღაბნა შეჰფერიო?!...\*)

\*) ამ სტატიის შესახებ ჩვენს აზრს შემდეგში გამოვ-  
თქვამთ.

რედქტორი



# ახალი ამბები და შენიშვნები

\* \* \* უწმიდესი სინოდის აზრი. სამხედრო მინისტრის შეკითხვაზე უწმინდესმა სინოდმა გამოსთქვა აზრი, რომ შეუწყნარებელია აფიკრის თანამდებობაზე დანიშნულ იქმნენ მიმდევარნი იმისთანა სექტები-სა, რომელთაც არ სწამთ წმიდა საიდუმლონი და ღვთისგან დადგენილი უფლება ხელმწიფე იმპერატორისა და აგრეთვე ფიცი.

\* \* \* ნასწავლი ბერები. უწმიდესმა სინოდმა ჰქნა განკარგულება, რომ სასულიერო აკადემიის სტუდენტები, რომელთაც სურსთ აღიკვეცონ ბერებათ, გაგზავნილ იქმნენ ხოლომე ზაფხულობით მონასტრებში მორჩილებათ და ეჩვეოდნენ პრაქტიკულად მწირთა ცხოვრებას. აკადემიის კურსის ვათავების შემდეგ სტუდენტები იქნებიან გაგზავნილნი იმ მონასტრებში, სადაც იგინი იღვწოდნენ სწავლის დროს.

\* \* \* სინდისმა დატანჯა. ახლახან პოლიციამ დაიკიპრა ცოლშვილიანი და შეხნიერებული კაცი, ვინმე კრილოვი, რომელმაც რამდენიმე თვის წინად მოხუცებული დედაკაცი მოჰკლა. კრილოვი გამოტყდა, რომ მოჰკლა დარია ზოლვიტი გასაცარცვავით, რადგან მდიდარი ეგონა. მოკლულის ფულით მას უნდოდა ეყიდნა სახლი ნავთსადგურში, მაგრამ ეს სიმდიდრე მან ვერ აღმოაჩინა, მოკვლის შემდეგ კრილოვს თან დასდევდა ლანდი მისგან გაგუდული დედაბრისა. ხუთი თვის განმავლობაში მკვლელობის შემდეგ ის გაქაღრდა. ხშირათ მას აზრი მოუვიდოდა თავის მკვლელობისა.

დაკირვის დროს კრილოვს უნახეს დიდი, ძველი ხელობის სპილენძის ჯვარი, კუთვნილი განსვენებულის კოლნიტისა, ჯვარი შეიქმნა მიზეზი მკვლელის აღმოჩენისა.

\* \* \* განმანადგურებული ქარი (ურაგანი). 13 ივლისს სადგოვკაზე და სხვა სოფლებზე კოროჩინის მაზრაში, კურსკის გუბერნიაში, გაიარა ძლი-

ერმა გრიგალმა (ქარმა) წვიმით და სეტყვით, ზოგიერთ ადგილას მტრედის კვერცხის ოდენა სიმსხოთი.

წალეკა სეტყვამ 500 დესიატინამდი. პურები. რადკოვკის მცხოვრებლებს წაუხდათ სეტყვისაგან 13,500 დესიატინა.

გრიგალი იყო იმდენად ძლიერი, რომ ბევრი ხე დაღეწა და ძირიანადაც მოთხარა. დაიმგვრა და დაზარალდა შენობები, მათ რიცხვში სახელმწიფო საჩაიე. ხიდები გადაიარა წყლებმა და გასავლელელებში ეტლები ჩაიტანა წყლებში.

\* \* \* ღვთის მოყვარე ოჯახი. 10 ივლისს წმიდა სამების ცაძარში, სოფელ პოდგორნაში, ვორონეჟის გუბერნიაში, სრულდებოდა რამდენიმედ არა ჩვეულებრივ გარემოებებში, წმიდა ლიტურდია. მას ასრულებდა მესამე კურსის სტუდენტი პეტერბურგის აკადემიისა, მამა პავლე პოპოვი. დიაკვნობას ასრულებდა მისი მკვიდრი მამა მიხეილ პოპოვი და მედავითნეებათემსახურებოდნენ ორი სხვა შვილი მ. მიხეილისა, ვორონეჟის სასულიერო სემინარიის კურს დამთავრებულები.

მრევლი იყო ნასიამოვნები ამ ღვთის მოყვარეობის მისაბამავ მაგალითით. მაშინ, როდესაც მრავალ ოჯახებში უსიამოვნება, ჩხუბი, ხანდისხან სისხლის ღვრამდის, კეთილ მსახური ოჯახი ერთ სულლოვნად სდგას ღვთის წინაშე და ევედრება ღმერთს ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთათვის.

\* \* \* ღვთის მოყვარე ოჯახი. 10 ივლისს წმიდა სამების ცაძარში, სოფელ პოდგორნაში, ვორონეჟის გუბერნიაში, სრულდებოდა რამდენიმედ არა ჩვეულებრივ გარემოებებში, წმიდა ლიტურდია. მას ასრულებდა მესამე კურსის სტუდენტი პეტერბურგის აკადემიისა, მამა პავლე პოპოვი. დიაკვნობას ასრულებდა მისი მკვიდრი მამა მიხეილ პოპოვი და მედავითნეებათემსახურებოდნენ ორი სხვა შვილი მ. მიხეილისა, ვორონეჟის სასულიერო სემინარიის კურს დამთავრებულები.

წარსულ წელის სამაზრო კრებამ დაითხოვა ლოთობისთვის სამი სმერტინის სოფლის მსაჯულნი თითქმის მთელი შედგენილება სასამართლოსი, გარდა თავმჯდომარისა. სხდომის შემდეგ მსაჯულები ისე დამთვრალიყვნენ, რომ ეყარნენ იატაკზე სამსაჯულო ქოხში და სოფლის მამასახლისი იძულებული შეიქმნა დაემწყვდია იგინი გამოფხიზლებამდე ნაობახში.

წელს მსაჯული მიწის მზომელს დაუვებოდა ყანების დასახელებად და გალოთებული ჩაეარდა მდინარეში.

\* \* გაზეთები გვატყობინებენ, რომ კითხვა არის აღძრული გუბერნატორების უფლებების გადიდებაზე.

\* \* სიაუბილეო საჩუქრების მოტაცება. რეკონსტრუქციის ფენის გაზეთები გვაცნობენ გრაფ ალექსანდრე ჩენოვსკის ავსტრიის გემზე „ზინც კოკენფელსედ“ ტრიესტიდან გადასვლის დროს გაატეხა, ძვირფასი საჩუქრები ჩენოვსკის კორაფის გიორგისათვის მისართმევი ოთხასი ათასი ფრანკით მოხარეს და დღესაც ქურდების ასაგად დასავალი არ გაუკათა. ამასთან ბევრი საბუთების ქაღალდებიც დაკარგულა

„ზაკავაზიე“.

\* \* აკერ წინეთ უანადები მიუსტა კლესს ურუტაში და ს. წელაფრეთში შერაზნის მარაში და გატარცეს. ამ სამი დღის წინათ გატარცეს აზნური არხი და დედარინი ს. კლდეში და წართვის რაც

გაჩნდა რამე. ამ უკანასკნელ დროს თან და თან ხშირდება თავდასხმა და ცარცვა კლესა. დიდ გაჭირვებას ითმენს ხალხი ქურდ ბატონებისაგანაც...

**დეკონო და ვით დამბაშიძისაგან.**

ხშირად მომდის წერილები სხვა და სხვა კუთხიდან იმ შემთხვევის გამო რაც მე შემხვდა 28 ოკტომბერს, წარსულს წელში დაბა ეგირილაში. ძნელია ევქლას წერილით ვაცნობო საქმის მდგომარეობა. ამისათვის საუფლებლად ვაცხადებ, რომ ჩემი თხოვნები გაგზავნილნი სინოდში და სენატში არ არიან მოხმობილნი და უეურადდებოდ დატოვებულნი. სინოდის უქაზათ გამოძიება საქმისა გათავებულია. რაცა შეეხება სენატში გაგზავნი თხოვნას, სენატმა უკვე მოითხოვა ზასუხი ვისგანაც ჯერ არის და შემდეგ იქნება გამოძიება და მსჯავრი.

12

**უ წ ყ ე მ ს ი.**

თუ როდეს უნდა მოხდეს ფულების შეკრება ტაძრებში სხვა და სხვა დროს მოხდენილ განკარგულებათა და უქაზათებრ სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა და დაწესებულებათა სასარგებლოდ.

5-6 იანვარს თეთრი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ

(სამხედრო უწყების მქვრივთა და ობოლთათვის გარდაცვალებულთა იპონიასთან ომის დროს).

დიდ მარხვის ჰირველ კვირას, მართლ-მადიდებელ კვირიაკეს, სარწმულოების გასაგრცელებლად, მისსიონერის საზოგადოების სასარგებლოდ.

მესამე დიდ მარხვის კვირას ზეციური დედოფლის სახელობის საზოგადოების სასარგებლოდ. მახინჯ და დამბლა დაცემულ ბავშვთა შესაწევნებლად.

ბზობის კვირას მართლ მადიდებელ ჰალესტინის საზოგადოების სასარგებლოდ.

მენელსაცხებლეთა დედათა კვირიაკის დღეს შეკრება შეწირულებათა სასარგებლოდ კავკასიის საზოგადოებისა ჭლერქიანთათვის სანატორიის--აღსაშენებლად. ფულები უნდა წარედგინოს ბლალოჩინებისაგან კავკასიის საზოგადოებას (28 აპრილს 1910 წელში მოხდენილ განკარგულებით.

ბრძის კვირიაკეს უნდა მოხდეს შეწირულების შეკრება ლანკირთ ბრძათა სასარგებლოდ და შეწირულება უნდა გაიკზავნოს ბლალოჩინის საშუალებით ჰეტერბურგში. საზოგადოების საბჭოს სახელზე კაზ. ქუჩა № 7.

სული წმიდის გარდმოსვლის დღეს უნდა შეიკრიბოს ფულები საეკლესიო სამრევლო სკოლების სასარგებლოდ და უქაზისამებრ. ამავე დღესვე უნდა შეიკრიბოს შეწირულება საურლის მთის იქით გარდასახლებულთა სასარგებლოდ აღსაშენებლად სამლოცველო სასლებისა, ეკლესიათა, სკოლებისა და სხვა საჭიროებათათვის.

29 ივნისს და 15-ს აგვისტოს ერთ დროებითად შეწირულების შეკრება აღსაშენებლად ტაძრისა ქალქს მოსკოვში წითელ მაიდანზე ჰარტრიარქ გერმოგენისა და არქიმანდრიტის დიონოსის სანახსოვროდ.

6 აგვისტოს უნდა იქმნეს შეწირულება შეკრებილი წითელ ჯვრის სასარგებლოდ კეთროვანების წინააღმდეგ საბრძოლველად (უქაზი სინოდისა 23 თებერვლის და 12 მარტიდან 1910 წლისა № 1488),

ერთ დროებითი შეწირულების შეკრება უნდა მოხდეს ციხის ძირში ეკლესიის ასაკებად საუკუნო მოსახსენებლად დახოცილ მხედართა ჩხუბში თათრებთან 1826, 1856, 1878 წლებში მომხდართა. შეკრებილი ფულები უნდა გაიკზავნოს სინოდის გან-

ტორაში თფილისს. (მოწერ. იმერეთის ეპ. გიორგისა 26 იანვარიდან 1910 წლისა № 453)

ფულის შეკრება ლანგრით 8 სექტემბერს და 21 ნოემბერს 1909 წელსა და 8 სექტემბრის 1910 წელსა აღსაშენებლად ტამრისა მოსაგონებლად წმიდა სერგი რადონეჟისა კულიკოვის ველზე მოძღვარ დიდებული გამარჯვებისა. მოწერილობა იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისა 6 ნოემბრიდან 1909 წლისა.

(ფულები უნდა გაიგზავნოს ტულის სასულიერო კანსისტორიაში).

წირვის აღსრულება 20 დეკემბერს გარდაცვალებული იოანე ილიას მის სერგიევის სულის მოსახსენებლად და ნაწირვებს ჰანაშვიდის გარდახდა. ამასთან ჰირველ წელიწადში უნდა იქნეს დვთის მსახურების გარეშე საუბრები გამართული და საკითხავები განსაკუთრებით ისეთები რომელიც შეეხება დვთივ-განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე III-ს და ლოცვის კითხვა მეფისა და რუსეთის ქვეყნისა, შედგენილის იოანე კრონშტადელისაგან. უნდა შეკრიბოს სასულიერო წოდებამ შეწირულება სტიჰენდიებისათვის მოსახსენებლად იოანე კრონშტადელის სახელობაზე სასწავლებელში (მოწერილობა იმერეთის ეპისკოპოსისა 3 ივლისიდან 1909 წელსა № 2702).

ოც-ოციკანეის შეკრება ყოველ წლობით ყოველ კრებულისაგან მისაცემელად დაძღვა დაცემული ძღვდლის ილია ჭუმბურიძისა და სუხატაძეილისადმი, თანახმად სამღვდლოების კრების დადგენილობისა.

ეს ორი უკანასკნელი შეკრებილი ფულები სუხატაძეილის და ჭუმბურიძის სასარგებლოდ შეკრებილი უნდა გაიგზავნოს ქუთაისის ქალაქის ბლადოჩინს და მან უნდა გადასცეს დანიშნულებისამებრ. (მოწ. ი. ეპ. გიორგისა 5 მაისიდან 1910 წელსა № 1850).

Дозволено Цензурою 31 Августа 1910 года г. Кутаись

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე,